სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საავტომობილო გზების მშენებლობა" დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **დავით კუპატაძე**

წევრი:

მანანა ბერიძე - დარგის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **212693049**

სახე: დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, პროგრამების დამატების შესახებ განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 18 ივნისის MES 2 25 0000693237 ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „საავტომობილი გზების მშენებლობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.
წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 25 ივლისს.
დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებთან გასაუბრებას.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციამ უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ეტაპობრივი წარმოდგენა და დასაზუსტებელი საკითხების განმარტება.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2025 წლის 6 აგვისტოს ექსპერტებს გამოეგზავნათ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული წერილი, რომლის თანახმადაც დაწესებულება ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საავტომობილო გზების მშენებლობა/ Road Construction
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საავტომობილო გზების მშენებლობაში;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება № 57(24/25),21.05.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 21 მაისის № 57 (24/25) დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ დამტკიცების თაობაზე ეფუძნება 2024 წელს დამტკიცებულ ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „საავტომობილო გზების მშენებლობა“, რომლის მიხედვითაც დამუშავებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა. დაწესებულება წარმოადგენს მრავალდარგოვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს აკადემიური და პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 დეკემბრის N15 (21/22) დადგენილებით დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის თანახმად, სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანა მოიაზრებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას; ხსენებული პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება დაწესებულების მისიას. დაწესებულების 2021 წლის 9 ნოემბრის N8 (21/22) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკის“ მიხედვით, დაინტერესებული მხარის მიერ ხდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის იდეის წარდგენა უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოსადმი; ფაკულტეტის საბჭოზე ახალი საგანმანათლებლო პროგრამის იდეის განხილვა ხდება ღიად, წარმდგენი მხარის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით; ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით და გამოაქვს შესაბამისი (შემუშავდეს ან უარი ეთქვას) სახის გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ინიცირებაზე განაცხადი დადგენილი წესის მიხედვით განიხილება საკონსულტაციო საბჭოზე და გადაწყვეტილება ცენტრის მიერ ეცნობება დაინტერესებულ პირს, რის შემდეგაც პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ იწყება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება; ექსპერტები შეხვდნენ პროგრამის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფს, რომელთაც ისაუბრეს პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის თაობაზე. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაცვით, შემუშავებულია სასწავლო პროცესის კოორდინატორის და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2023 წლის 24 იანვრის N12§2 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით“, აღნიშნული დოკუმენტის მესამე თავში გაწერილია პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აპლიკანტმა პროფესიული განათლების ცენტრის მიერ შექმნილ კომისიაზე უნდა გაიაროს მოტივაციური გასაუბრება და შეძლოს დააგროვოს 15 კაციან ჯგუფში ჩასარიცხად საკმარისი ქულების რაოდენობა, რაც აპლიკანტს აძლევს პროგრამით დასახული შედეგების თავისუფლად მიღწევის საშუალებას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. პროგრამაზე შემსვლელ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება აწსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 იანვრის N 12§17 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A და B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, C სასწავლო გარემოსთან მიმართებაში გათვალისწინებულია ფართი ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად (არსებობის შემთხვევაში) და რესურსი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად, ყველა გარემოს რესურსიდან უმცირესის გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერთებთან წამოადგინა როგორც პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის, ასევე აუდიტორიების გამტარიანობის დოკუმენტები, სადაც მოცემულია პროგრამაზე კვირის დღეებზე განაწილებული დატვირთვა, აუდიტორიების ნომრებისა და ფართობის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საავტომობილო გზების მშენებლობა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი ელ.ვერსიების სახით, განთავსებულია როგორც A, ასევე პრაქტიკული სამუშაოების სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად იმიტირებულ C სასწავლო გარემოში არსებულ მასწავლებლის კომპიუტერში, აწსუ-ს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

პროფესიული ცენტრის და აწსუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „საავტომობილო გზების მშენებლობა“ არ აქვს არჩევითი მოდული.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განისაზღვრება აწსუ-ს წესდების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის დაწესებულების აკადემიური საბჭო. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ დამტკიცებულია აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 21 მაისის № 57 (24/25) დადგენილებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ საფუძველზე და მისი ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, დასაქმების შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 70 სასწავლო კვირა), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 120 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 90 სასწავლო კვირა); პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების მისია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. საგანმანათლებლო პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია;
5. საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“;
6. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ ხორციელდება ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N 98 -ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. აწსუ-ში VII კორპუსის მეორე სართულზე, პროფესიული პროგრამისათვის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ გამოყოფილია კეთილმოწყობილი, ნათელი A და B სასწავლო სივრცეები, რომლებიც სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მაგიდებით, სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, საპრეზენტაციო და ასლგადამღები ტექნიკით, საპროექციო ეკრანით, დაფით და მარკერებით. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. ასეთივე პირობებია შექმნილი პროფესიული სტუდენტებისათვის C გარემოში, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი მანქანა–მოწყობილობებით და სპეცაღჭურვილობით, ერთ მიღებაზე 15 (ჯამში 30) პროფესიული სტუდენტზე. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შპს „დაგი+“; შპს „თანამედროვე გზა“; შპს „როსტვერკი“; შპს „საქმილსადენმშენი“. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს: - ურთიერთთანამშრომლობის გზით, მოდულები: „ მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების მოწყობის“,„საგზაო საფარის მოწყობის“ და „ არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია-რეაბილიტაციის“ სწავლის შედეგების დასადასტურებლად უზრუნველყოს საჭირო სივრცით და საწარმოო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით; ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოდულ(ებ)ის/შედეგ(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში მათი დასაქმების ხელშეწყობას. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამით „საავტომობილო გზების მშენებლობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი, თითოეული ნაკადი 15 სტუდენტი) გათვალისწინებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საავტომობილო გზების მშენებლობა“ გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები სულ 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ზოგადი მოდულების განმახორციელებელი, ხოლო 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მოდულების მიხედვით დაწესებულებას ჰყავს 2-3 განმახორციელებელი მასწავლებლები, რომლებსაც შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების პროცესში ერთმანეთის ჩანაცვლება. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, პროფესიული მასწავლებელთა პირადი საქმის შესწავლით და მათთან გასაუბრების საფუძველზე ექსპერტთა შეფასებით დგინდება, რომ პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და მათი პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. პროგრამის განხორციელებაში პროფესიულ მასწავლებლებლების ნაწილი მოწვეულია პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები, პროფესიულ მასწავლებლებლებს გააჩნიათ როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ აწსუ პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები - „მასაწავლებლის საქაღალდე სწავლა-სწავლების მიდგომები და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრეინინგი „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მათთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ სცდება კვირეულ 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკის“ 2 EP-QA1.1 დანართით განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომლის მიხედვით, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური (დოქტორი, მაგისტრი, ბაკალავრი) ხარისხის ან/და პროფესიული კავალიფიკაციის მქონე, შესაბამისი დარგის სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პროფესიული სტუდენტების კონსულტაციას, მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის მომზადებაში; ახდენს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების ანალიზს, ადგენს სასწავლო ცხრილს დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად; ახორციელებს სასწავლო პროცესის მხარდაჭერას და აწარმოებს განხორციელების პროცესის მონიტორინგს. ექსპერტთა მიერ, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში, ასევე არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება, შერჩევითი პრინციპით მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის შემოწმება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „საკანონმდებლო მაცნესთან“, ასევე პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, კატალოგთან ერთად, ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია A, B და C სივრცეებში მასწავლებლის კომპიუტერებში არსებულ მონაცემთა ბაზებში და სურვილის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი ასლის საკუთარ ელ.ფოსტაზე გაგზავნა, ან ნაბეჭდი ფორმით მოკლე ამონარიდის მიღება. ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

დაინტერესებული პირებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი დატანილა მყარ დისკზე, ასევე - ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც ხდება, მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველოში თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. აწსუ-ს VII კორპუსი, რომელშიდაც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის „საავტომობილო გზების მშენებლობა“, სასწავლო A, B და C სივრცეები აღჭურვილია სსსმ პირებისათვის კიბეებზე ასასვლელ – ჩამოსასვლელი მოწყობილობით, ადაპტირებული სველი წერტილებით და ბიბლიოთეკით, კომპიუტერულ კლასში შესაძლებელია სსსმ პირის კომფორტული განთავსება. ელ-ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის. მაგალითად: ვებ-გვერდს აქვს კონტრასტის მართვის და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ დაწესებულების მიერ შედგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის საფასურისაგან, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივ ანაზღაურებას, ადმინისტრაციის ანაზღაურებას (პროგრამის ფარგლებში), კომუნალურ ხარჯებს, იჯარას, მარკეტინგთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას, პერსონალის განვითარების, საოფისე ადმინისტრაციული და სხვა ხარჯებს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომლის რენტაბელობის ზღვარი 8 პროფესიული სტუდენტია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
7. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
8. ვებ გვერდი;
9. პროგრამის ბიუჯეტი;
10. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1-2. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს ბაზრის კვლევის შედეგებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ასევე, დაწესებულების მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. დოკუმენტის გაცნობის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობას, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიზნით შექმნილი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა“ ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის შედეგად. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, რომლითაც პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების მონიტორინგი და შეფასება, ხოლო შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
2. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
3. ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ სასწავლო გეგმა აგებულია ლოგიკურად, მასში თითქმის სრულად არის გათვალისწინებული სტანდარტში მოცემული რეკომენდაციები. სწავლება განხორციელდება შესაბამისი სასწავლო გეგმით, რომელშიც გაწერილია მოდულების თანმიმდევრობა კვირების მიხედვით და ყოველ კვირაში შესასრულებელი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. სასწავლო გეგმის მიხედვით შედგება პროფესიული სტუდენტების მეცადინეობების ცხრილი. არაქართულენოვანი სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში, ისინი სწავლას დაიწყებენ ქართული ენის მოდულით. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 24 იანვრის N 12§17 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. მაგალითად, დაწესებულებაში დანერგილია პრაქტიკა თუ კი, პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროფილის მიხედვით, ასეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

შემთხვევებში პროგრამის ადმინისტრირების ჯგუფი მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტების სურვილების გათვალისწინებას სასწავლო ცხრილის შედგენის და შეფასების პროცედურების დანიშვნის დროს. დაწესებულებაში შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. აწსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რასაც ხელს უწყობს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. აწსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ 36-ე მუხლში აღწერილია პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების სხვადასხვა შემთხვევები, კერძოდ: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შესაძლებელია დადგეს: მობილობით ჩარიცხული სტუდენტის ინტეგრირების მიზნით; სტუდენტის სტატუსის აღსადგენად სტუდენტის ალტერნატიულ ჯგუფში ინტეგრაციის მიზნით; სსსმ სტატუსით ჩარიცხული სტუდენტისთვის მოქნილი სასწავლო გრაფიკის შექმნის მიზნით, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო აუცილებლობით და არ აფერხებს სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ან სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, შესაბამისი დასკვნის/ოქმის საფუძველზე გამიზნულად ამცირებს სასწავლო დატვირთვას; სხვა ლეგიტიმური და ობიექტური გარემოებით. რეგულაცია ადგენს პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებას მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში. დოკუმენტის შესწავლით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საავტომობილო გზების მშენებლობა“ ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „დაგი+“; შპს „თანამედროვე გზა“; შპს „როსტვერკი“; შპს „საქმილსადენმშენი“), ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია პროფესიული სტუდენტების დახმარება პროფესიული უნარების განვითარებაში, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მოდულ(ებ)ით განსაზღვრული აქტივობების გავლას საზოგადოებაში (საწარმოში) შესაბამის პოზიციაზე, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას და მომავალი საკადრო რეზერვის შექმნას. ექსპერთტა მიერ მოხდა პრაქტიკის გარემოს დათვალიერება, ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრება და შედეგად დადგინდა, რომ „საავტომობილო გზების მშენებლობა“, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი, თითო ნაკადი 15 პროფესიული სტუდენტი).

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას, მიუხედავად ამისა სასწავლო გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმა. ექსპერთთა შეფასებით დაგეგმილია პროგრამის შესაბამისი მოდულების განხორციელება უსაფრთხო სასწავლო გარემოში და ზოგადი უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. პროგრამის სასწავლო გეგმა;
4. გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აწსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ თანახმადაც შეფასება ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამვჭირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. წესის 41-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებას, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება უწყვეტი და სწავლების სრული ციკლის თანამდევი პროცესია და ის მიმდინარეობს მთელი სასწავლო პერიოდის მანძილზე. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს ცენტრის ადმინისტრაციას და მოითხოვოს განმეორებით შეფასებაზე გასვლა-დაშვება და/ან გადავადება შესაბამისი ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას არა უგვიანეს პროგრამის დასრულებამდე სასწავლო განრიგითა და/ან მოდულის განხორციელებისა და დოკუმენტაცია-მასალების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადებში. განმეორებით შეფასებაზე პროფესიული სტუდენტის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად; სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება. სწავლის და შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და ინსტრუმენტები გაწერილია მოდულების სტანდარტული ჩანაწერებით, რომელიც სრულად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობას, გამჭვირვალობასა და ვალიდურობას, სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის მიხედვით ხდება პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების დაცვას სტუდენტთა შეფასების მიმდინარეობის დროს. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, შეფასების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მოითხოვოს შეფასების გადასინჯვა, ხოლო არადამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კი, სტუდენტი უფლებამოსილია სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. აწსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის 28-ე მუხლი უკავშირდება დაწესებულებაში დანერგილი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი. ამავე მუხლში განხილულია ვერიფიკაციის წესი და პროცედურები, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, ვერიფიკაციის განხორციელების ვადები განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით, ხოლო ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულებით - ვერიფიკაციის ჯგუფ(ებ)ი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შესაძლებელია შევიდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გეგმაში შევიდეს ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. აწსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის 43-ე მუხლის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია - შეფასების მტკიცებულებები, ინახება სასწავლებელში შეფასების, პროგრამის განხორციელებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ; შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტაცია გადაეცემა არსებული წესით არქივს, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

გასანადგურებელი დოკუმენტები ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების" შესაბამისად; დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. ამა წესის 49-ე მუხლის თანახმად პროდუქტი, რომელიც არსებობს დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, შემფასებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მისი განკარგვა ხდება ერთიანი საქმისწარმოების მოთხოვნათა შესაბამისად ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის; პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მისი განკარგვა ხდება ერთიანი საქმისწარმოების მოთხოვნათა შესაბამისად ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის; პროდუქტი, რომელიც განთავსებულია გლობალურ ქსელში (ინტერნეტი), ელექტრონული მისამართები იწერება რეესტრში და რეესტრი ინახება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შესაძლებელია წაიშალოს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. აწსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების შედეგების გაცნობისა და შედეგებზე რეაგირების მიდგომები, პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების მსვლელობისას დაკვირვების პროცესში მასწავლებელი, მუდმივად ჩართულობით, მითითებებით, შესწორებებითა და დადებითი შეფასებებით, ხელს უწყობს სტუდენტის მიერ დავალების სწორად შესრულებას და შემდგომი ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

07.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: